

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

სელის-მოწყობა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисе, 1-я редакция «Дროება»

«დროების» ფასი მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან. ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განსხვავებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ. თუ საჭიროება მოითხოვს; რედაქცია გვასწავლებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## დღესასწაულის გამო ოთხშაბათს გავითრი არ გამოვა

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის განხეთს

### დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან. თბილისში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, აბალო თუთაძესთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიხარონ განხეთი: В. Тифлисе, 1-я редакция «Дროება».

ფასი ხელის-მოწყობისა:

წლით (12 თვით) — — 9 მან.	6 თვით — — 5 მან.
11 თვით — — 8 მ. და 50 კ.	5 თვით — — 4 მ. და 50 კ.
10 თვით — — 8 მან.	4 თვით — — 4 მან.
9 თვით — — 7 მ. და 50 კ.	3 თვით — — 3 მან.
8 თვით — — 7 მან.	2 თვით — — 2 მან.
7 თვით — — 6 მან.	1 თვით — — 1 მან.
სოფლის მასწავლებელთათვის თვით—2 მან.	წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მოწერა გავითრის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

### რა მიზანია?

თბილისი, 6 დეკემბერს.

ხუთი წლის წინდ ჩვენში დაარსდა საზოგადოება ქართველთა შორის განათლების გასაფრცხლებლად. შევლა კერას დაგვიკრავს, რომ ამისთანა მაღალ მნიშვნელობიანი საზოგადოება ჩვენში ჯეროდ არ დაბადებულა. მას დანიშნულებათა აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ედამიანისათვის, როგორც არის გონების განათლება.

იგი ემსახურება არა ერთს რომელსა-მე წოდებას ქვეყნისა, არამედ ეალად ადევს ზრუნვა მთელს ერზედ. მისთვის არ არსებობენ: არც თავადი, არც აზნაური, არც სამღვდლონი, არც გლეხნი; მისი მოქმედება არ განისაღვრება ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუნტულით,—მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო.

ამ გვარს საზოგადოებას ბევრი კეთილი წადილისათვის უნდა შეესხა ფრთები და დიდი იმედი დაეხადა

ჩვენს საზოგადოებაში. სწორედ ასეც მოხდა. მაგრამ მოვესწართ ამ წადილების განხორციელების დასაწყისს? მხედვეთ ჩვენი აღძრული იმედის აღსრულებასა? მინ არ იცის ჩვენში, რომ ამ შემთხვევაში ჩვენზედ უკუღმა აღრულდა ერთი მარჯვე ქართული ანდაზა, და სპილოს რწყილი ეამობინეთ.

საზოგადო კრება, რომელზედაც ქართველობა ას-ასობით მაინც უნდა ესწრობოდეს, ვერც ერთხელ ვერ შესდგა თავის დროზედ, რადგანაც ორმოც-და-ათი კაცი, კანონიერი რიცხვი, ვერც ერთხელ ვერ მოგროვდა: საზოგადოების წევრებათ ქართველები ითვლებიან არა ათი-ათასობით, არამედ ასობით. წევრები საზოგადოებისა ისე გულგრილად ეპყრობიან საქმესა, რომ რის ვაივალახით შემოდის საზოგადოების კასაში მხოლოდ მეთექვსმეტი ნაწილი იმ ფულისა, რომელიც ყოველ წლივ უნდა გროვდებოდეს. საზოგადოების გამგეობა შესაბამ ბანს აძლევს ამ საზოგადო გულ-გრილობას და ვერ იჩენს ჯეროვანს მხნეობასა ჩვენი ქვეყნის ბედის ტრიალში, მის ყოფა-ცხოვრებაში მას რაიმე შესამჩნევი კვალი ჯერ არ ვაუფლია; ორიოდვე სკოლა, ორი-ოდვე წიგნაკის გამოცემა, სამიოდვე სტიპენდიატის გამოზღვა და ერთი უკაფი საბიბლიოთეკო წიგნები—ამ მთელი მისი მოქმედების ნაყოფი დღემდის.

რა არის უმთავრესი მიზეზი ამ გვაჩი უძლურებისა? საზოგადოება და

მისი გამგეობა რად არ წარმოგვიდგენს ცოცხალს, მომქმედ, მხნე დაწესებულებას და რატომ ჰგავს სნეულს და მიხრწნილს ორგანიზმსა, აგებულობასა?

თავ-დაპირველ დაბრკოლებად ასახელებენ და ასახელებენ ბევრი გარეგან დაბრკოლებასა. ამ დაბრკოლებათაზედ ბევრი ითქვა როგორც დასტამბული სიტყვის უშამაელობით, ისე პირადათაც. მაგრამ უნდა გავუტყდეთ და მოგახსენოთ, რომ ამ მიზეზის მნიშვნელობა მეტად გაზვიადებულია. იგი უშლიდა მხოლოდ ერთს გვარს მმართველობის მოქმედებას, სახელდობ სკოლების გახსნასა. მაგრამ განა საზოგადოების და მმართველობის მოქმედება მხოლოდ სკოლებით იწყება და სკოლებით თავდება? ბანა სკოლების დაარსება შეადგენს ანსაც და ჰესაც? სრულიადაც არა. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოების გამოცემას, სახალხო წიგნების ბეჭდვას, ქართული ბიბლიოთეკების დაარსებას ყველა შესანიშნავ ცენტრებში, ქართული ენის სწავლების გაძლიერებას ქართული სახელმძღვანელოების და წიგნების შეწირვით ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ყველა სასოფლო და სამოქალაქო სკოლებში, სახალხო საუბრების გამართვას და სხვ. ამ კვლებში სიარულს და წარმატებას ზომ არარაიმე გარეგანი ღობე არ უშლიდა. მაგრამ სად არის ან დას-დასი სახელმძღვანელონი, ან სახალხო წიგნები, ან სახალხო ბიბლიოთეკები, ან

### «დროების» ძელტონი, 7 დეკემბ.

#### ქუთათური ძელტონი

დღეგრძელების თავის მოყრა ქუთაისში. — ეგრედ-წოდებული აღრევიით უფლებსა. — უმთავრესი ნაკლებეფანება ამ უფლებსა. — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. — განხედე და გაჭვრიტე. — სასწავლებლის საპატიო მზრუნველი.

მკითხველებმა იციან ერთი ჩვეულობა, რომელსაც დიდის მუყაითობით ასრულებენ ხოლმე იმერეთში. მას ჩვეულება ვახლავს, რომ ყოველს წელიწადს დებუტატები მოიყრიან ხოლმე თავს მუყაისის სასწავლებლის დარბაზში ვითომ და სასწავლებლის საქმეებზედ მოსალოაპარაკებლად. ჩემს თვალში ეს «თავის მოყრა» ყოველთვის კომედია ყოფილა, არის და იქნება კიდევ. მაგრამ, რადგან ჩვენს საზოგადოებას (და მაშასადამე მეც) კომედია უფრო ეპიტანაფება და უფროც იზიდავს, ვინემ დრამა და ტრაგედია, ამიტომ მე დიდად მოხარული ვარ, რომ დებუტატების «თავის მოყრა» კომედია

არის ხოლმე და არა დრამა-ტრაგედია... ღმერთმა გვიხანას დრამა-ტრაგედიისაგან!... ხუმრობთ თუ?!... დრამა-ტრაგედია კაცს დააფიქრებს, მიახედ-მოახედებს, ათას-ნაირს აზრებს აღუძრავს, ათას-ნაირს სხვადასხვა დასკვნამდის მიიყვანს, ბევრს რამეს სხვა ნაირად შეახედინებს; მოკლედ რომ ესთქვა, დრამა-ტრაგედია ტენს ამუშავებს და მერე ვინ მოგახსენათ, რომ ტენის ანძრევა და ფიქრების მორევში შეტურვა ან ტენისა და ფიქრების პატრონს და ან საზოგადოებას მარტოდ-მარტო ზიანს არ აძლევს! მარტო ისიც საკმაოა, რომ ბევრს მხარ-თეძოზედ წამოწოლილსა და ფუფუნებაში ცხოვრება-შეჩვეულს მოქალაქეს აღეშუროება და გაუმწარდება ტკბილი, უღარდელი ძილი. თუ ტკბილი ცხოვრება არ მოგეჭარბებია, სწორედ ისე უნდა ჰფიქრობდე, როგორც ყველანი ჰფიქრობენ, სწორედ იმისთანა ქუდი უნდა გეზუროს, როგორც შენს თანამოქალაქეებს ხურავს, თორემ გირჩევ, მუხლებზე ბამბა სქლად დაიდვა, — ცოლდე მალილინსავეთ წამო-

გაჩოქებენ!... აი, ამიტომ მომწონს, რომ კომედიას თამაშობენ და აქტიორებათ თავიანთა ეგრედ-წოდებული ჯორიანი აქტიორები გამოჰყავთ სცენაზედ. ამ კომედიაში მე უფრო მაინც ვაქტიორების სახის კმაყოფილი გამომეტყველება, — გამოდიან სცენაზედ, ან დგანან მუნჯად, თუ არა და ერთს-ორს სიტყვას იტყვიან, ან კვერს დაუკრავენ სხვას და გავლენ იმ ღრმა დარწმუნებით, რომ ვითომ და საქმის კაცები არიან, საქმე რამ გაუკეთებიათ!...

სხვებ, ან კი რა უნდა გააკეთონ? მის უნდა უყონ რევიზია, ვის უნდა შემოწმონ ან გარიზი?!... საჩივიზიო დაწესებულებას თავისი პირდაპირი გამგე ჰყავს, ჰყავს აგრეთვე სამმართველო, რომელიც ვალდებულებია, მოგახსენებენ მოკლილი კაცები, რომ საქმეებს თვალ-ყური ადევნოს და გასაწორებელი გაასწოროსო!... ძარბი დაგმართოსთ, მაგრამ რაღა საჭიროა კიდევ ამის შემდეგ რაღაც მოგონილი «თავის მოყრა» დებუტატებისა?!... ან და განა სოფლის უბ-

რალი დებუტატს შეუძლიან რაიმე შეცდომა უნახოს და გაუსწოროს შემოხსენებულ დიპლომიანს დარაჯებს?!... ოღონდაც რომ ვერაო, მოგახსენებენ ყველანი; მაგრამო რადგანაც რომ კომედია სასიამოვნო და დროს გასატარებელიაო, ამიტომო ხსენებულ აქტიორებს ნებას აძლევენ სათამაშოთაო... მე ცოტა სხვა აზრისა ვარ, — მე ცოდილი ვფიქრობ, რომ დებუტატებს რომ აქტიორებათ არ უყურებდენ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც შეიძლებენ საქმის დაკვირვებას, ნაკლებეფანებათა შემცნევას და გასწორებას, მაგრამ, რადგან მუხლები ჯერ კიდევ, მადლობა გამჩენს, არ ამქავებია, ამიტომ ეს «სხვა აზრი» ჩემთვის შემინახავს...

პირველში, როცა ჯერ კიდევ გამოუცდელი ყმაწვილი ვიყავი, ესე იგი როცა «სიბრძნე ცხოვრებისა» გავლილი არა მქონდა და დარწმუნებულიც ვახლდი, რომ მუხას რკო აბია და არა თურაშაული ვაშლი, პირველში-მეთქი, ვამბობ, მეგონა, რომ ამ თეატრის გამგენი მომაკედი-

სახალხო საუბრები? სად არის კიდევ საკვირაო სკოლები, რომელთა დაარსება შედარებით ისეთი ადვილია და რომელთაც სრულიად არ შეეხებოდა ის გარეგანი დაპირკლება, რომელიც წინ აღუდგა სამუდამო სკოლების გამარჯვებასა?...

იქნებულნი ვართ მოგახსენოთ, რომ თვით სამუდამო სკოლების დაარსებას ეს გარეგანი დაპირკლება თავიდან ასცილდებოდა, თუ რომ გამკობას გამოეჩინა მომეტებული გულის-ყურის დამყარება საქმეზედ მომეტებული გამჭვირვაობა და მომეტებული სიმარჯვე.

მეორე მიზეზიც მოჰყავთ და მოჰყავთ იმ გვარ პირთა, რომელთაც უჭირათ წარჩინებული ადვოკატები ჩვენს საზოგადო ასპარეზზედ. მთი აზრით წერა-კითხვის საზოგადოების მეტად ზანტი მოქმედება წარმოსდგება ჩვენი ერის მოუშხადებლობასაგან. ამ გვარი რთული და მალ-მალ-ში პრეტლობიანი საქმეების კეთილად წარმართვას ეჭირება შრავალი მცოდნე და მხნე პირი, ჩვენში კი ამ გვარს პირებს თითებზედ ჩამოსთვლითო. საზოგადოების დაარსება სრულიად არ ამტკიცებს ჩვენს მისთვის მომზადებასაო. სამიოდ-ოთხმა დაწინაურებულმა პირმა გამოიღო თავი, შეადგინა წესდება, სწერა ჟურნალ გაზეთებში ამ საქმის მნიშვნელობაზედ, დროებითი თანაგრძნობა აღძრა საზოგადოებაში და დაარსა საზოგადოებაო; მაგრამ წამის თანაგრძნობა ჰგავს მურბუმელის ცეცხლს, რომელიც მხოლოდ რაედენსამე წამს გაანათებს, ჩაქრება და გარშემო იმისთანავე სიციფესა სტოვებს, როგორც წინად იყოო.

ჩვენ სრულიად უარ-ვეყოფთ ამ აზრსაცა... მანათლებულნი პირნი უფრო ნაკლებად გვეყვება წარსულს საუკუნოებში; მაგრამ ეს გარემოება

სრულიად არ უშლიდა სკოლების სიმრავლეს და წერა-კითხვის გაერცვლებას არამცთუ ქალაქებში, თითქმის ყველა სოფლებშიაც. ისტორიასაც რომ არ გამოვევიდოთ და ახლანდელს ჩვენს მდგომარეობას დავაკვირდეთ, დაინახავთ, რომ ჩვენ მართლაც იაეთი ლატაკნი არა ვართ განათლებული პირებითა, როგორც ჰგონიან ევროსა. ბლომი ნაწილი თავად-აზრობისა ამ ქამად ნასწავლთა დასეკუთვნის; სამღვდლოება, მოქალაქობა და თვით გლეხობაც დღითიდღე ავსებენ თხელს რაზმს ინტელიგენციისასა, რომელიც ამ ქამად წარმოადგენს შესამჩნევს ძალას. შოველს საქართველოს ქალაქში მოიპოვებ ნასწავლთა დასი, რომელსაც ცოდნაც და მხნეობაც ნებას აძლევს ნაყოფიერი ძონაწილობა მიიღოს წერა-კითხვის საზოგადოების საქმეების წარმოებაში... სინდელი და სირთულეც ამ საქმისა ძალიან გაზვიადებულია: იგი ბევრად ადვილია იმისთანა საქმეებზედ, რომელნიც ნარცხათაც არ მოვლენ მასთან თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით და საყოველთაო სარგებლობით. არც მასწავლებლობა სახალხო სკოლებში, არც სახელმძღვანელოების და სახალხო წიგნების შედგენა, არც სახალხო საუბრების გამართვა, არც საკვირაო სკოლები არ შეიძლება ჩავთვალოთ იმისთანა საქმედ, რომლის შესრულება არ შეეძლოს ჩვენს ნასწავლს დასსა.

მაშ რა მიზეზია? — ამის პასუხს ამოიკითხავთ შემდეგს ნომერში.

**შინაური შრომისა**

მგზავრება რეინის გზის შტოს სამტრედიასს და ბათუმს შუა ძაღვან

ნებელს ცოდვას ჩაიღოდენ საზოგადოების წინაშე, ამორჩეულს დებუტატებს კომედიას ათამაშებინებდენ და «აღმორჩევის უფლებას» რომ უკადრისად ეკიდებოდენ. მაგრამ შემდეგში, სწორედ მაშინ, როდესაც შეეწინაშენე, რომ მუხას ვაშლი ება, მიეხვდი, თუ თეატრის გამგენი რა კეთილის-მყოფელნი არიან მთელის კაცობრიობისა... თავი და თავი სავალადო საქმე ის არის, რომ შეწინაშენულია, — დებუტატად, ესე იგი წარმომადგენელ პირად, აღმორჩეული კაცი რაღაც სულ სხვა ნაირად გამოიყურება, სულ სხვა-რიგად უჭირავს თავი, წელში თითქო იმართება, თითქო რაღაც ღირსებასა გრძნობს თავის თავში, თითქო და ისიც კაციაო, იმასაც ცხოვრებაში თავის საკუთარი ადვილი აქვსო, ისეთს შეხედულებას იღებს მისი პირის-სახე, ერთის სიტყვით, მეცა ვარ ქვეყანაზედაო, თითქო ამას ჰფიქრობს, მეც ქული მხურავს თავზედაო, მე მეცამეტე გოჭი ნუ კი გვინივაროო... მე რე ეს კარგია საზოგადოებისათვის! სულაც არა... პირ-იქით აქა აქვს ფეს-

ვი გადგმული ამყობას, უფროს-უმცროსობის გაურჩევლობას, მთა და ბარის გასწორებას, ამით გავრცელდება საზოგადოებაში «სული არა სიმდაბლისა, არა მოთმინებისა». თვითონ წარმოიდგინეთ, რა იქნება, რომ ყოველი დაბადებული ჰფიქრობდეს და დაჯერებულად იყოს, რომ ისიც აღამიანია, რომ იმასაც ნაწილი აქვს ცხოვრებაში, რომ, შეიძლება, იმასაც მოჰივდეს, მოსწყურდეს, შესცივდეს!.. პირი ჰაა, მაშინ ხომ ძალი პატრონს ვეღარ იცნობსო რომ იტყვიან, ის იქნება... ეს ხომ ანტი-ძრისტეს მოსვლის ნიშანი იქნება...

სწორედ რომ იქნება და ამიტომაც, მადლობა ღმერთს, რომ არცა აქვს ხსენებულს წოდებას ეს რაღაც ჯანაბა «აღრჩევითი უფლება» არის, სწორედ ამიტომ არის, რომ ეს აღრჩევითი უფლება აქტიორების თამაშად გაუხდიათ... წინედ, მართალია, ჰქონდა ეს აღრჩევის ნება, მაგრამ ისიც ჩამართვეს, რადგან ამ გვარი ნება არ შეიძლება მოთავსებულიყო კეთილ-განწყობილს საზოგადოებაში. აქედ

უზივანს. თუ ჰატარა ავი ამინდი დადგა, გზა შეიკრის ხალხი, და სმიად ციფსა და ხელს ვაგონებში უნდა გაატაროთ უჭმელ-უსმელმა მგზავრებმა მთელი დღე და ღამეო. ამას გარდა კარგი იქნება, რომ რეინის გზის გამგეობა რამე წესს დაადგენდეს ვაგონებში შესვლა-გასვლასე თორემ დიდს სტანციებზედ ერთი პირი ხალხი რომ ვაგონებში გამოდის, მეორე პირი შიგ შედის, და არის ერთი უშველებელი ვაგონებისაო. შეიძლება ერთი ვაგონებში ხალხი გამოვიდეს და მეორედამ შევიდეს ან მინამ გამოსასვლელნი არ გამოვიდენ, წამსვლელებს არ შეუშვებენ.

ამას წინად ერთს სიღნაღელ მოხელეზედ იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი, — შროტოკოლებში სხვასა სწეს და სასამართლოში სულ სხვას აზობსო. ერთს ექიმს შროტოკოლი შეუდგინა უგზონოდ წამებების გაუიფასვლად და რატო საქმე სასამართლომდის მივიდა, იქ კი ასე აჩვენა თურმე, ეგ მუქთად არიგებს წამლებსაო. ამ ამის გამომცხადება ძალიან იწუხებს ხსენებულმა მოხელემ და წერილი მოგვწერა შემომთავალებთ ვინ შეგატყობინათ ჩემზედ ეგ ამბავი, მინდა შეურაცხყოფისათვის ვუწილოო. ჩვენ, რასაკვირველია, შესაფერი ვასუსი მივართეთ და პირში რეაქცია მივევით. თუ ეს გვირე კიდევ ჩივილის გუნებაზედ არის, მიგვირთმევი კიდევ ერთი ქაქტი იმის ბოგრაძიადამ, რომელსაც, თუ ვეღვანი არა, სიღნაღელები ხომ გულ-მოდგინებით წაიკითხვენ. ხსენებული გვირე ჯერ ახალ-ციხეში მარხის უფროსის თანაშემწე ყოფილად და კიდევ უჩაღის დაჯერის თაობაზედ შროტოკოლი შეუდგინა (ეტუბა შროტოკოლმანია სჭირებია), ვითომ იმ უჩაღთან თოფის სროლა ჰქონდა და ისე დაქმონილებინოს. ამ გაყვანებისათვის ვლადიმირიც მიუღია; მაგრამ მე რე აღმოჩენილად, რომ უჩაღი ერთს მეგობარს

გაუწია და ხელ-ფეხს შეკრული ჩაგებარება მისთვის, ასე რომ უფროდ შროტოკოლის შედგენისათვის ყველაფერი ჩაუშვარებიათ და სამსახურადამც გამომხანებიათ. ჭეშმარიტად ხან-დის-ხან გამომცდილება არა არგებს ადამიანს!

ჩვენ სარწმუნოდ ვაგიგეთ, რომ ქუთაისის ოჯახის სასამართლოში სწავლობს სისხლის სამართლის წესით საქმე ი. გ.—ხედ. გ.—ოვს აზრსა ლევენ საკვლელო საზინის ფულებების შექმნას შეიდი-ათას მანეთადის. მთელი ქუთაისის საზოგადოება დიდად გაკვირებულია ამ პირის მოქმედებით.

ქუთაისიდან გვწერენ: ერთმა ქუთაისის მოხელემ იასუბ რატანმა მოიგონა ისეთი აზრსატი, რომელიც დიდს სარგებლობას მოუტანსო განსაკუთრებით რეინის გზის ბუჭეტებს და აგრეთვე დიდს სასტუმროებსაცა.

ეს აზრსატი შესდგება ცინკის ყუთისაგან, რომელსაც ექმნება 4 ანშიანდე სიგმე, სამი ჩარქვი ანშიანის სიგანე და 1/2 ანშიანი სიმაღლე. ამ ყუთის ძირზედ შეიგნიდამ არის ჩაწოხილი რაი წოხა ცინკის ღულებისა, ერთს ადგილას ფეხიდან კომლი შედის და მეორე ადგილას გარეთ გადის. — თავსახური ამ ყუთისა იმავე ცინკისაა, მაგრამ რვა ადგილას ამოჭრილი, ისე რომ ბლუდების ძირი ზედ კარგად მოდის. ყუთში წყალი ასხა, რომელიც ფეხიდან თება; წყლის ორთქლი ბლუდებს ასურებს და მით საჭმელებსა ცხელად ინახავს.

თვით მომგონებულმა ბ. რატანმა გვირას, 27 ნოემბერსა, მიიწვია რამოდენიმე მცოდნე პირნი ქუთაისის ვლასიფური გიმნაზიიდან და აგრეთვე ქუთაისის სასკოლსო გამგეობის წევრნი, და პირველს გამოცდასავე აღმოჩნდა, რომ სრულიად ცივი წყალი ერთას საათის განმავალსაში 49 გრადუსამდე გაცხელდა და ორს საათზედ სრულიად

გან წარმოსდგებოდა შური, მტრობა, ქრთამიანობა და ამიტომ მოსპეს კიდევ, ესე იგი ყმაწვილი პირველად ფეხის ადგმის დროს წაბორწიკდა და ამიტომ აღუკრძალეს სიარული. აქედგან, თქვენც მიხედვით, რომ დაკუნტებაც შეიძლება, მაგრამ, რაც უნდა იყოს, დაკუნტება სჯობია წაბორძიკებასაო. თქვენ იქნება ისიც იცოდეთ, რომ ერთმა «ამყოლის არა ამყოლმა და დამყოლის არა დამყოლმა» კაცმა სთქვა, რომ აღრჩევითი უფლება იმისთანა რამ არისო, რომ თავის ნაკლს თვითონვე გაისწორებსო; მაგრამ ესეც ტყუილია, რასაკვირველია!...

ამ კრებამ რაღაც ნაირად მომაგონა ჩვენი «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» და მისი წესდება. პრიქა, რაკი «საზოგადოებას» თავისი საკუთარი წესდება აქვსო, გაიძახოდენ ყოველის მხრიდან, ჩვენი კურთხეული საქართველო ნამდვილი ეროვნული სკოლებით მოიფინებაო... აი, გუშინასწინ შემხვდა ერთი ყმაწვილი კაცი,

ლიალ რომ განათლებული, მაღალ სასწავლებლიდგან დიპლომ-გამოტანილი და მითხრა — აქამდის მე ოპორტუნისტი ვიყავიო, ჩვენებურად რომ გითხრათ, დაჯერებული ვიყავიო, რომ მგელი და ცხვარი ერთად სძოვდეს, შეიძლებაო, და შარანავან ბატონის-შვილის მიწაწერი ლევან ბატონის-შვილთან მიქარვად მიმანდაო... ახლა კი დაერწმუნდიო, რომ შარანავაში სრულიად მართალს ბძანებდაო... თქმა არ უნდა, რომ გვიან თვალის ახელა სჯობია მუდამ ბრმად დაჩენას, მაგრამ სასაცილოა აქ ის არის, რომ ჩემმა ოპორტუნისტმა მაშინ გაახილა თვალი, როცა «ოგვიჩო» მიამახეს... მხოლოდ მაშინ დაალო პირი, როდესაც მოახსენეს: შენი და შენის ამხანაგების ადგილი ცხრაშთას გადაღმა არისო... ამ ოპორტუნისტისა არ იყოს, ჩვენმა «წერა-კითხვის საზოგადოებამაც» მაშინ გააკვიტა თვალები, როცა ამისთანავე სიქმე დაემართა... წასწავლენ მოსაგერებლად თავის «საკუთარს წესდებას», მაგრამ მოახსენეს, — თუ შეიძლება, ეგ წესდება ძმარში დაალო

ადუღდა. ასე რომ სტანციებში, რადან ბუფეტებში, შეუძლია საათ-ნახევრის წინ, მინამ მატარებელი მოკიდდეს...

ამ აზარტის მომტაცებელი ქუთაისის აზრ განცდილება. ესაა გეგმადება კიდევ ისეთი ნაგების მოგონებას, რომელი...

ბათუმიდან გვერდნი: მივსწევთ ბათუმის პოლიციის უფროსებს შემდეგს რის საგანს, რომელიც ჩვენ დიდ უწყისებად მიგვანხნა...

ამ მეორე უფროსსა უფროსდებო საგანი. ართვინის გზიდან მოკიდებული განახლების გზადის რბინის გზის მარჯვნივ...

ბეთ და შუბლზედ შემოიდევითო... ასე და ამა პირსა ზედა, დოქტორიც ამასა ჰქვიან... მე განკარგულება ესე დოქტორისა მეუბნება...

ფერი გადიფრება; ასე გასინჯეთ, რაც ამ ადგილის მარცხენა მხარეზე ბოსლე ბის პატრია და სახელმწიფოს დამცარი...

იქიდანვე გვერდნი: ესთხოვთ გამოსცხადონ «დროებაში» ვინ ამოიღო სამი ჭკა ისტორიული სედა-წარწერებით...

«რუსი კურდირში» სწერას: «კავკასიის სამოსწავლო ოჯახის უფროსმა აღმრს საქმე იმ საგანზედ, რომ განაწილებულ იქმნას...

შიაო\*) და ან ყორანის წინააღმდეგო, ორივე შემთხვევაში უსარგებლონი არიან და უნდა ცეცხლის მსხვერპლნი გახდნენ და წაუკიდეს...

ნუ დაადებ ძველსა გზასა, გამგონია და ამიტომ მოუბრუნდები მათგან და ამიტომ მოუბრუნდები მათგან...

უწყებებთან ცხადი იქნება, — და ამ გეგმის განხორციელებას, როგორც ცალკე უწყებებთან უფლებას, ასე მათთან დამოკიდებულების, მანებებელი არა თუ სწავლის საქმიანობის, არამედ პოლიტიკურათაცა.

ერთის ნემეცურის გაწყობის სიტუვით უკანასკნელს ორს თვეში რამდენიმეში კიდევ 2000 ჩერქესის ოჯახი გადასახლებულა. ზოგნი ამ ჩერქესთაგანი მარმარადილს ზღვის პირზედ დასახლებულან; მომეტებული ნაწილისათვის კი მცირე-ზომის შუა გული დაუნიშნავთ საცხოვრებლად.

ჩვენ მიგვივიდა მშენებრად გამოცემული წიგნი «ტენწილა», კრება საყმწავლო მოთხრობათა, გამოცემული იყო გოგებაშილის რედაქციით. დაწერილებით ამ წიგნს ამ დღეებში გავარჩევთ და ესაა მოლოდ ამ წიგნში დაბეჭდილ მოთხრობებს დავასახლებთ: 1) მეფე და სეფოსისა, არაქული მოთხრობა ფანტაზიური იქნა, 2) მწვეში, მოთხრობა ტურგენიევისა, 3) ფამა მწვეში, არაქი დაბეჭდილია, 4) გობიული, ზღაპრული მოთხრობა, ურარუ-ზანდისა, 5) დემონი მართალსა ჭხდავს; მაგრამ ძალე კი არ ამუდგინებს; ლტოლსტომსა 6) უკანასკნელი გავეთილი, ადამ. დოდავი, 7) მოლადატე ბაშვი, მისივე და 8) გულის ფანტაზიური მოხრობა კავკასიისა, მისივე.

წასრული ნაკბრის 38-ს უნდა მომხდარიყო შეტურბურგში კრება კავკასიის აქეთა მხრის რბინის გზის აქტიურებების, რომელსაც ჭკანდა განზრახვა შესდგომოდა გზის გაუმჯობესების საშუალებათა გამოკვლევას; ამოსვლის უწყებანი ამბობენ, რომ ამ კრებას უნდა განხილას შემდეგი კითხვები: 1) ბაქოს დამოყნის გამართვა; 2) სურამისა და უიარღისა შუა გზის ასადად გადაკეთება; 3) გზის ასადად ტოტების გაყვანა...

ისევ დებუტატების «თავის მოყრასა». ამ კრებაზედ დებუტატებმა პირველად შეიტყეს, რომ სარევიზიო დანსებულების საპატრიო მზრუნველად ყოფილა აღმორჩეული ვაჭარი-ორატორი ბ. ც—ძე. სასწავლებლის სამმართველოს მოუხსენებია თავ-მოყრილებსათვის, რომ ბ. საპატრიო მზრუნველმა ესა და ეს შემოსწირათ. წამოდგათ ეს საპატრიო მზრუნველი და წაუკითხა საზოგადოებას გრძელი მოხსენებო, სადაც სამმართველოს დაუდენელი ბა ხელის-გულზედ იყო გადაშლილი. შეიქნათ ერთი აყალ-მაყალი, უკადრისი სიტყვების სროლა, და მოპირდაპირეთა გაბრაზება იქამდის მივიდა, რომ ერთმა სამმართველოს წევრმა ზედ გადააყრა თავზედ თავ-მოყრილებს ერთი კოლოფი კალმებით, საპატრიო მზრუნველისაგან შეწირულიო. ამან უარესი არეულება გამოიწვია, მაგრამ, როგორც იყო, აღეწებულნი ზღვა დაწყნარესო... შესანიშნავი ის ყოფილა, რომ საპატრიო მზრუნველი ერთხელაც არ მიუწევიათ თურმე სამმართველოს სხდო-

სასადავლებლად ვაგონების დატვირთვით და დაცვისა; 4) უკანასკნელ მოსამახსურეთა რიცხვის მამატრას და მამატრას თის გასაყვანი მიღების მოწყობას დასავფიფილებლად ნავთის მრეწველობის საკითხებისა. ყველა ამისთვის სასოგადოებამ უნდა მიუძღვოს სათანადო თანხას იმდენად და იმ პირობებით, რომელთა უზრუნველყოფა მოთხოვრება, უკეთეს გზის მართვლად ამ პირობებს დაინახავს სასოგადოების სასარგებლოდ.

ტელეგრაფი

(ჩრდილოეთის საავტონომიო.) 2 დეკემბერი.

პატიმარში. სიმბირსკის ქალაქის ბანკის თავმჯდომარე სვეშნიკოვი ვაგატრდა. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ბანკის განძეულია და განსა ხელუხლებელია, და ბანკს სვეშნიკოვის ვაგატრებასთან არაფერი გაუძირი არა აქვს.


გონივრნი. ჩინელები მოემზადნენ განტონის დასაცვლად ჩრდილოეთით და თავინთ ჯარებს ავროპებენ. ამ დღეებში გონკინგზედ 800 კაცმა გაიარა.

3 დეკემბერი.

პატიმარში. გამოცხადდა ანგარიში სახელმწიფო კონტროლისა 1882 წლისა. ნამდვილი ვასავალი 711,156,862 მანათია, შემოსავალი 708,668,331 მან. მასალაზედ ნამდვილი დეფიციტი არის 2,488,531 მან., ერთდროებითი ხარჯი ყოფილა 77,214,309 მან.

აზედ, რომ იმასაც, წესდების ძალით, მონაწილეობა მიეღო ეკონომიურის საქმეების გარჩევაში... კარგადაც უქნიათ, რომ არ მიუწევიათ! საზოგადოდ გამოცდილებით ვიცით, რომ რამდენადაც ცოტა თვალი ეჩხირება რომლი-სამე დაწესებულების ეკონომიურს ნაწილს, იმდენად უფრო სარგებლობა აქვს ამ ნაწილის გამგეს და რადგან თავის მტერი არაფერ არის, ამიტომ ყველა ცდილობს, რომ სხვის თვალებს ნიღაბი ააფაროს. მე ემაზედაც დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ საქმისთვისაც ერთი გამგებელი სჯობია ორსა და სამს... აი, თუნდ ერთის მზის მაგიერ ორი-სამი მზე რომ იყოს, ერთმანერთს წაეკიდებიან და დღეს დაგვიბნელებენ. სწორედ ასე ფიქრობენ ერთ უფლებს მქადაგებელნიც...

გარკვე მსურებელი. გარკვე მსურებელი.



და ერთდროებით შემოსავალი 28,014,415 მ. მამასადაჲ დეჭიციტი 49,199,894 მ. უოფილა. ეს დეჭიციტი მარტო იმისაგან წარმოსდგება, რომ სახელმწიფო ხანკს უნდა ეძლიოს უოველწლივ 50 მილიონი მანათი.

**სარისინი.** ვოლგა სრულიად დადგა; ასტრახანისათვის დანიშნულმა საქონელმა გამოასწრო; თევზის ვაჭრობა ბევრით სჯობია შარშანდელს.

**ბარსკელონა.** გუშინ საღამოზედ გერმანიის მემკვიდრე პრინცი იტალიისკენ წავიდა; ხალხმა დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა.

**პარიჟი.** დეკუმბრის პალატამ 325 ხმის უმეტესობით 191 ხმის წინააღმდეგე უარყო წინადადება შესახებ საფრანგეთის ელჩის ადგილის გაქმებისა ვატიკანში.

გამორჩენილი ისტორიკოსი ჰანრი მარტენი გარდაიცვალა.

**კარბონის წყარო.** გუბერნიის საერო კრებამ გადასწავილა იშუამდგომლობა მთავრობასთან, რათა შერჩეულ იქმნას გადასახლება გლეხებისა სხვა გუბერნიებში ეგვიპტის მთავრობის გუბერნიისში.

**გაზაბრადი.** რისტიჩმა გამოითხოვა ნება მეფის ნახვისა, გამოუცხადა თავისი ერთგულება და აგრეთვე უთხრა რომ ესლანდელის მთავრობისაგან მიღებული საშუალებანი ყველასაგან უნდა ქებული იქმნენ და მეც იმის ადგილას ასე მოვიქცევოდით. ამასთანავე რისტიჩმა აღიარა, რომ ტყუილად მახრალდებენ, ვითომ რევოლუციის მომხრეებს თანავე გრძნობდეთ.

**სოქოი.** ზოგიერთა გაზეთები ასხვაფერებენ აზრსა მანიქესტი-სასტირონოვს წესდების გადახედვის თაობაზედ. ესლანდელმა კრებამ მხოლოდ თავისი აზრი უნდა გამოაცხადოს. საბოლოო გარდაწყვეტილება ეკუთვნის დიდს სახალხო კრებას.

ლიბერალი დეპუტატების მიდების დროს მთავრმა გამოაცხადა, — რომ კონსტიტუციის და სხვა კანონმდებლობის საქმეებში ხალხს უნდა ნება მიეცეს თავისუფლად იმოქმედოს.

4 დეკემბერს.

**პატივპატივი.** გუშინ მოვიდა საფრანგეთის ახალი ელჩი გენერალი აპერი.

ხმები ისმის, რომ როდესაც კი გაუქმდება კანონი, რომლის ძალითაც მოხელეთა ჩამამავლობითი აზნაურობა ეძლევათ დეისტვიტელნი სტატუსი სოვეტნიკის ჩი-

ნის მიღების შემდეგ, მაშინ ვითომ მოისპობა აგრეთვე ტაბელი რანგებისა, ე. ი. სამოქალაქო ჩინების მიღება და ამის მაგივრად უნდათ დააწესონ რიგ-რიგად დაუყოფა მოხელეთა თანამდებობის კვალობაზედ; ღაპარაკობენ აგრეთვე სახელმწიფო ეგზამენების დაწესებაზედ. ამ რეჟიმის შესამუშავებლად დანიშნული იქნება კომისია სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენელთაგან.

მწერალს გონჩაროვს პენსია მოუმატეს.

გაზეთი «პეტერბურგსკია ვედომოსტი» ამბობს, რომ კრედიტის ბილეთის ფასის მომატებისა და მისის კურსის დაძვარებისათვის განზრახვა აქვთ სხვა-და-სხვა დონის-ძიება მიიღონ. სხვათა შორის ოქროს ფული უნდა დატრიანდეს ხალხში და კრედიტის ბილეთები თავისუფლად იყვლებოდეს ოქროზედ ან ნამდვილ ფასად ან იმ ფასად, რა ფასიც ვაჭრობაში აძევს.

**პარიჟი.** ჭერიმ შეიტანა გუშინ პალატაში წინადადება შესახებ 20 მილიონის ჭრანკის დამატებითის კრედიტისა ტონკინის ექსპედიციისათვის, ამასთანავე განაცხადა, რომ ანამის ხელმწიფის მოწამლვის ამბავი ოქციანლურად ჯერ არ დამტკიცებულა.

გაზეთი «ნასიონალი» ამბობს რომ შვეინის სასახლეში არეულიობა მოხდა და იმ პარტიამ გამარჯვა, რომელიც უარყოფს უოველსავე შეთანხმებას საფრანგეთთანაო.

4 დეკემბერს.

**ბანუდი.** დღეს აქ მოვიდა გერმანიის მემკვიდრე პრინცი და ხალხმა აღტაცებით მიიღო, ხვალ რომს მივა.

**შანხაი.** გაზეთის «ნასიონალის» ცნობა ვითომ შვეინის სასახლეში რევოლიუცია მოხდა ჯერ არ გამართლებულა.

**პენა.** გუშინწინ ჭლორიდსდორჭში მეშების ყრილობის შემდეგ მოკლეული იქმნა პოლიციის კომისარი. დამნაშავე ვერ აღმოუჩინათ; ბევრნი დაატყსადეს.

**განსახლება**

5 ნაპირი მიწა

იყიდება იაფად მტკერის ნაპირზე ახალი ხიდის მახლობლად **ინგლისურს მალაზიაში.** იქვე მიიღეს ბლომად: წისკილები, ქალაღი, კალმები, ჩაი, ბისკიტი, კოფები, ჩანგლანა და სხვა, 550 ინგლისური და ჭრანკული კრაოტები ყმაწვილებისა და კაცებისა 7 მანეთი, ესე იგი 25% უფრო იაფად ვიდრე სხვაგან სადმე. მალაზიას ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ არ შეგეშალოთ. (6—4)

მუთაისის ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ცხრამეტს რიცხვს ამა დეკემბრისას გამგეობაში არის დანიშნული ვაჭრობა უბერეტორქოტ მუთაისში ხიდების ბაჟის იჯარით გაცემაზე ორი წლის ვადით პირველი იანვრიდან 1884 წლისა.

ვისაც ვაჭრობა სურს უნდა წარმოადგინოს უბრუნველ საყოფად ვაჭრობისა ხუთასი მანეთი ნაღდი ანუ ბანკის ბილეთებით. ვაჭრობა იქნება სიტყვიერი და დაბეჭდილი კანცერტებითაც, დაიწყება თორმეტ საათზედა გათავდება ორს საათზე ნაშუადღევს. მონდიციის გაცნობა შეიძლება გამგეობაში ყოველ-ღლივ დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევს პირველ საათამდე. ნოემბრის დღეს 1883 წელსა ქ. მუთაისი. (3—3)

**МУКА А. М. БРОДСКАГО ИЗЪ ОДЕССЫ.**  
А. В. АРОЛСАИՍ ՏՅՅՈՒՆԻ ԸՈՒՆԻՏԵՂԱՆ.

შეორჩილესად ვაცნობებ პატივცემულ პუბლიკას, რომ მე ერთადერთი აგენტი ვარ მთელს ძაფკასიაში და გავაღე სამუდამო სკლადი ქ. ბათუმში «ოდესის სასტუმროს» ქვეშ.

ბარეშე ქალაქებდამ შეუძლიანთ მიმართონ შემო-ხსენებულს სკლადს, სადაც ფქვილი იმავე ფასად გაიყიდება, როგორც თვით ოდესაში **წისკვილ-ხედა შასოხს,** მხოლოდ მოემატება ბათუმში გადასატანი ხარჯი.

შქვილის თვისებაზედ ბევრს არ ეილაპარაკებ: ამ ფქვილის მაღალი ლირსებამ ყველამ იცის. რაც შეეხება ღროზედა და უტყუერად გაგზანას, ამაში სკლადი კისრულობს პასუხის გებას.

აგენტი სიმ. ვოლჟინსონი. (5—2)

**ქურნალი „ივერია“**

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდან ქურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სიერცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

**თბილისში:** შეგუდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელაც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნახაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «ღროების» რედაქციაა და იქაც, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

მუთაისში, შილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

შასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის — 5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ ქურნალი: **Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».**

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ქურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზაინოს რედაქციაში.

(10—5) რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე

**СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА**

**ВЪ ТИФЛИСЪ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ**

**НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ ГАЗЕТА**

**„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“**

подъ редакцію А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты — печатный листъ средняго формата; программа — общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ — 10 руб.; на 6 мѣс. — 6 р., на 3 мѣс. — 3 р. 50 к., на 1 мѣс. — 1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисъ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ — въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетою обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршица, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Пиколадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. П. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—9)